საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030137419118019

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/20722 **12 / დეკემბერი / 2019 წ.**

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს"
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი დუგლაძეს

ასლი: ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდის
„საქართველოს კარიტასს“
მის.: ქ. თბილისი, 0183, ნუცუბიძის მე-2 მიკრრ. 3-ა
ელ. მისამართი: tamar.sharashidze@caritas.ge;

ბატონო გიორგი,

გიგზავნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ა(ა)იპ საქველმოქედო ფონდიდან „საქართველოს კარიტასი“ შემოსულ № CG R-70 575/19 წერილს (06.12.2019წ.), რომელიც ეხება სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან შუამდგომლობას ქ. რუსთავში ფალიაშვილის ქ. №18-ში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის წესით (1 ლარად) გადაცემის შესაძლებლობის განხილვის მიზნით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში. რუსთვში მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარს ადმინისტრირებას უწევს ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“, რომელსაც უზურფრუქტის ხელშეკრულებით უძრავი ქონებით სარგებლობის უფლება აქვს 2020 წლის 2 ოქტომბრამდე. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის მიზანია მიუსაფარ ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია. მიუსაფარი ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლადი ფენაა და ქვეყანისათვის მნიშვნელოვანია მათი სოციალიზაცია და განვითარების ხელშეწყობა.

ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდის „საქართველოს კარიტასი“ მოწოდებული ინფორმაციით, შენობა (ქ. რუსთავი, ფალიაშვილის ქ. № 18), რომელშიც დღეის მდგომარეობით ხორციელდება მომსახურება მძიმე მდგომარეობაშია და მიუხედავად ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოებისა ბენეფიციარებისათვის არ არის უსაფრთხო. ამ დრომდე ქ. რუსთავში ვერ იქნა მოძიებული სხვა ალტერნატიული შენობა აღნიშნული მომსახურების განხორციელებისათვის. სამინისტროსათვის ძალიან მნიშვნელოვანია „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული მომსახურების ფუნქციონირება ქ. რუსთავში, ამასთან, ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ საიმედო და კარგი პარტნიორია, რომელიც არაერთი წელია თავისი პროგრამებითა და პროექტებით ხელს უწყობს ბავშვთა კეთილდღეობისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის განვითარებას, „საქართველოს კარიტასის“ მიერ გაწეული თანადგომა და წვლილი ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვთა სერვისების განვითარებისათვის, რაც განაპირობებს სახელმწიფო პრიორიტეტების ცხოვრებაში ერთობლივ რეალიზებას.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული და განიხილოთ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (დროებით სარგებლობაში გადაცემული ქონება მიწის ნაკვეთის (ფართობი 4908 კვ.მ. საკადასტრო კოდი 02.04.02.528) ნაწილის, კერძოდ, მიწის ნაკვეთი ფართობით 1200 კვ.მ) ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდისათვის „საქართველოს კარიტასი“ პირდაპირი მიყიდვის წესით საკუთრებაში გადაცემის საკითხი „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ 7 წლის განმავლობაში განხორციელების ვალდებულებით.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია